საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 1260/01
10/02/2022

1260-01-2-202202101255

შპს „ედიფის არტ უბანის“ დირექტორს

ბატონ იანეკ შიხიაშვილს

მის: ისანი-სამგორის რაიონი, განთიადის ქ. №22

ბატონო იანეკ,

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2022 წლის 25 იანვრის №970 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სოფელ წავკისის მიმდებარე ტერიტორიაზე, მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობასა და ექსპლუატაციას.

როგორც სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი ინფორმაციიდან დგინდება, საპროექტო ტერიტორია მოიცავს 23 მიწის ნაკვეთს (ს/კ: 81.02.01.340; 81.02.01.463; 81.02.01.464; 81.02.95.550; 81.02.97.279; 81.02.95.936; 81.02.18.681; 81.02.94.641; 81.02.95.608; 81.02.95.381; 81.02.93.246; 81.02.01.397; 81.02.01.399; 81.02.01.398; 81.02.93.071; 81.02.01.403; 81.02.94.643; 81.02.94.644; 81.02.01.402; 81.02.01.767; 81.02.21.610; 81.02.17.242; 81.02.17.162), ჯამური ფართობით - 8,5187 ჰა და ასევე, დაურეგისტრირებელ სივრცეს. საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართობი, დაურეგისტრირებელი ტერიტორიის ჩათვლით, შეადგენს 96 338.2 $მ^2$-ს (დაახლოებით 10 ჰა).

როგორც თქვენთვის ცნობილია, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ II დანართის, მე-9 პუნქტის, 9.2 ქვეპუნქტის თანახმად, სკრინინგის პროცედურას დაქვემდებარებულ საქმიანობას წარმოადგენს **10 ჰექტარზე მეტი** განაშენიანების ფართობის მქონე ურბანული განვითარების პროექტი (მათ შორის, სავაჭრო ცენტრისა და 1 000 ავტომობილის ტევადობის ავტოპარკის მოწყობა).

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სამინისტრო სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მას შემდეგ, რაც თქვენ მიერ დაზუსტდება საპროექტო ტერიტორიის ფართობი და წარმოდგენილი იქნება შესწორებული დოკუმენტაცია.

პატივისცემით,

გიორგი ხანიშვილი

მინისტრის პირველი მოადგილე

0159, საქართველო, თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. №6. ტელ.: +(995 32) 2378013 / +(995 32) 2378044
www.mepa.gov.ge
6, Marshal Gelovani ave., Tbilisi 0159, Georgia, Phone.:+(995 32) 2378013 / +(995 32) 2378044